№ 223. 2 ნოემბერი, სამშაბათი 1866 1882 2 ნოემბერი, სამშაბათი. № 223.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერმანულის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| თელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., წვრილის [illegible] ზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი.

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს

ბენეფისი

ქ-ნ ღ. ყიფიანისა

ქართული დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება

აბონემენტის რიცხვში

პირველად

## კაცის მკვლელი

დრამა 5 მოქმედებად ჯიაკომეტისა, ნათ. ნ. ს. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებს კნ. ბ. ავალოვისა.

მოთამაშენი: სათ.-აბაშიძე, გაბუ-[...]ია, ყიფიანი, მესხი, აბაშიძე და სხვ.

[ბი]ლეთები სახლში არავის გაეგზავნება.

დასაწყისი 8 საათზედ.

ქალაქის

## გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის რჩევა [...]ით აცხადებს, რომ ამა 1882 [წ]ლის ნოემბრის 7-ს დილის 10 საათზე ქალაქის რჩევის [დარ]ბაზში იქნება ხმოსანების კენ-[ჭ]ის-ყრა (ამორჩევა) პირველ [თ]არისხის (რაზრიადის) ამომრ-

ჩვეულთა მომავალ ოთხის წლი-სათვის, 1883—1886. (3—2)

## ტელეგრამა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურლი, 30 ოქტომბერს. მოსკოვის ოლქის სასამართლოში დანიშნულია საქმე კაზაკოვისა, რომელსაც მილლერი ხელით შეხებასა და შეურაცხყოფას აბრალებს.

სახალხო განათლების სამინისტრომ სამასწავლებლო მაზრის მზრუნველთ (პოპეჩიტელებს) დაურიგა ქაღალდი, რომელშიაც მრავალი მაგალითებია მოყვანილი იმის შესახებ, რომ სოფლის სკოლებში მასწავლებელი ქალები უკეთ, უფრო რიგიანად და პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ვინემ კაცები.

პეტერბურლი, 31 ოქტომბერს. გაზ. „ნოვოსტის" სიტყვით, კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს განსაზღვრა იმისა—თუ რა [...] უნდა მიიღოს სასულიერო უწყებამ ხალხის განათლების საქმეში,—ამ კამისიამ სხვათა შორის გარდასწყვიტა, რომ ყოველ გუბერნიაში იქნება ცენტრალური, საგუბერნიო და სამაზრო (საუეზდო) მზრუნველობანი, რომელთ თავსმჯდომარედ სამღვდელო პირები იქნებიან დანიშნულნი. ცენტრალურ მზრუნველობის თავსმჯდომარეს სახელმწიფო რჩევაში ექნება ხმა.

დღიური

პეტერბურლის გაზეთებში იწერებიან, რომ, რადგან რუსეთის მეურნეობასა და ქირნახულის მოსავალს მუდამ წელიწადს დიდი ზარალი ეძლევა სხვა-და-სხვა ბუზანკალისა და საზოგადოთ მავნებელ ცხოველებისაგან და საშუალება კი დღემდინ თითქმის ვერა აღმოუჩენიათ-რა,—ამის გამო ზოგიერთ მემამულეებს განუზრახავთ პეტერბურლში კრების მოხდენა ამ საგნის შესახებ. კრებაზე მოწვეული იქნებიან, მემამულეებს გარდა, ბუნების გამომეძიებელი და მეცნიერები და მოილაპარაკებენ იმაზე—თუ რა ღონის-ძიებითა და საშუალებით შეიძლება ქირნახულის გადარჩენა მავნებელ ცხოველებისაგან.

* * *

ხვალ, ოთხშაბათს, ქართულს ტეატრში, დანიშნულია ჩვენი უკეთესი [...] ბენეფისი. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ საზოგადოება დააფასებს იმის შესამჩნევ ხელოვნებას და ბლომად დასწრება წარმოდგენაზე. პიესაც ისეთი აურჩევია მებენეფისეს, რომ მაყურებლებს ასიამოვნებს:—„კაცის-მკვლელი"—თხზულება ერთი საუკეთესო იტალიის დრამატურლის ბ-ნი ჯიაკომეტისა.

* * *

ამბობენ, რომ უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს საპატიო მომრიგებელთა დაწესება ჩვენს მხარეში.

რამდენჯერმე იყო ამ საგანზე სჯა ჩვენს გაზეთში, სხვა აქაურ გაზეთებშიაც მოიხსენიეს ეს ამბავი; როგორც ისმის, ჯერ-ჯერობით მიწერ-მოწერა კანცელარიულის წესით მიდის, საპატიო მომრიგებელ მოსამართლეების თანამდებობისათვის საიმედო და ღირსეულ პირებსაც კი არჩევენო,—და გასაკვირია, რომ ოფიციალურად, საქვეყნოდ ამ მძიმე საგანზე დღემდინ არა არის-რა გამოცხადებული.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ არაგვის ხეობის მარცხნივ სოფლებში პირუტყვის ჭირი გაჩენილა. საქონელი მოიწყენსო, ცხვირიდამ ლორწკი გამოდის, განავალიც თოკებივით გამოდისო და ამ ნაირ ავადმყოფობის შემდეგ მეორე ან მესამე დღეზე იხოცებაო.

ამ ავადმყოფობის მიზეზს წლევანდელ გოლვიან წელიწადს აბრალებენ და ცუდს ბალახს.

სასურველია, რომ ადმინისტრაციამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, მიიღოს მხედველობაში უიმისოდაც, წლევანდელის მოუსავლობით, გაჭი-

---

«დროების» ფელეტონი, 1 ნოემბერ.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა *)

[...]ამათი მასპინძელი ოსი, წარსულის [...]ლის განმავალობაში, უსაქმოდ არ [...]რჩა. იმან გადაწყვიტა, რომ დაეკმაყოფილებინა თავის გაუმაძღრობა [...] კარგით თუ ავით სტუმრის ცხე-[...]ბი თავისთვის დაენარჩომა. იმას [...]ერი ფიქრი არ მოუნდა ამ საგანზე, რადგანაც გადაწყვიტა, რომ მთავრობისთვის შაეტყობინა აბრაგების [...]უგში ყოფნა, ან დაეჭერინა და ან [...]ეხოცვინა ისინი. ამისთვის ის რა [...] გავიდა ბინიდგან, მაშინვე ნაჩალნიკთან წავიდა. ოსს გადაწყვეტი[ლ]ი ჰქონდა, რომ შუა დღეში თოკს [შ]ეხვევდა იაგოს და იმის ამხანაგებს [...]ისა და მერე ორივ ერთი იყო დაეჭირდნენ, თუ იქავ დახოცავდნენ; [...]ივ შემთხვევაში ის განთავისუფლებული იქნებოდა სტუმრებისაგან და [...]ები იმას დარჩებოდა. მაგრამ გზაზე ახალმა აზრმა გაურბინა თავში და [იფი]ქრა: „აგრე მუქთად რად დაუხვე-[...]?" და შეზდგა რამოდენიმე ხანს. [ერ]თბაშად რაღაცა ბოროტის ცეცხლით

აენთო თვალები, წაიბუტბუტა, სიამოვნებით როგორღაც გაიქნია ხელი, გაიღიმა და გასწია ჩქარის სიარულით; ეტყობოდა, რომ იმან იპოვა საშუალება, რა რიგად დაეკმაყოფილებინა აღძრული გაუმაძღრობა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ის ნაჩალნიკის ბალკონზედ იდგა და იასაულს ელაპარაკებოდა, რომელიც ცდილობდა გაემოეკითხა, თუ რისთვის მოვიდა, მაგრამ გამოცდილის და გამოქნილის ოსის შეცდენა ისე ადვილი არ იყო.

— ნაჩალნიკის ნახვა მინდა, საჭირო საქმე მაქვს.

ოსი ამის მეტს ხმას არ იღებდა, თითქოს ამ სიტყვების მეტი არა იცოდარა. იასაულმა ნახა, რომ ვერ წააცდენდა ოსსა და თითონ ვერ გახდებოდა ნაჩალნიკისთვის სასიამოვნო მახარობელი, ჩაიქნია ხელი და უსიამოვნოდ შევიდა სახლში, რომ შაეტყობინა ბატონისათვის ოსის მოსვლა.

ნაჩალნიკი ჩქარა გამოვიდა კარებზედ და დაინახა ქუდ მოხდილი ოსი, რომელმაც მდაბლად თავი დაუკრა.

— რა გინდა? დაიწყო პირ-და-პირ ნაჩალნიკმა.

— საქმე მაქვს შენი ჭირიმე. და შეხედა იასაულს, რომელიც იქ ეხირა და გაფაციცებული უყურებდა იმათ.

ნაჩალნიკი მიხვდა ოსის აზრს და მიუბრუნდა იასაულს.

— მოგვშორდი... ეხლა მარტონი ვართ, მითხარ-რა გინდა?

— აბრაგები ვიცი.

— ვინ აბრაგები?

— იაგო, ჩორა, ელბერდ, კობა და მთიული.

— რას ამბობ? სიხარულით წამოიძახა ნაჩალნიკმა, რომელიც ამ ხალხს, გაგონებით იცნობდა, [...]რა არ გავიდოდა, რომ იმათ აიელს, იმის ყურამდინარ მიეღწია და რომელიმე მამაცური საქმე არ გაეგონა იმათგან მომხდარი. ერთი სიტყვით, ესენი განთქმული აბრაგები იყვნენ, რომელთ სახელი და ვაჟკაცობა შორს იყო გავარდნილი და რომელთ დაჭერისთვისაც ერთი და ორი უძილო ღამე არ გაეტარებინათ. ნაჩალნიკს თვალები გაუბრწყინდა სიხარულით! ჯერ ერთი, რომ ამ გაცვევნულის ხალხის თავიები დაფასებული იყო კარგს ფასად და შეიძლებოდა იქიდგან სარგებლობა; მეორეც, რომ ამათი დაჭერისთვის ის მიიღებდა ჩინს, მადლობას და გაითქვამდა სახელს.

— სად არიან? იკითხა იმან მოუთმენლად.

— აქ არ არიან, მაგრამ შემიძლიან მოვიყვანო.

— მართალს ამბობ?

— ხვცაუსტან! (ღმერთმანი,) მართალს ვამბობ!

ნაჩალნიკი დააცქერდა და მერე ერთბაშად და პირ-და-პირ დაიწყო:

— რას ითხოვ მაგ სამსახურისთვის?

— ოც-და-ათ-ათ თუმანს კაცის თავს და აფიცრობას, უპასუხა დაურცხვენლად ოსმა.

— მე ძალიან ბევრია, არ მოგცემენ. უპასუხა ნაჩალნიკმა, თუმცა აბრაგების თავი მეტადა ჰყვანდათ დაფასებული.

— არ მომცემენ და როგორც მოვსულვარ ისე წავალ. ნაჩალნიკი დაფიქრდა და უთხრა:

— ათ-ათი თუმანი კაცის თავს იკმარე და წმიდის გიორგის ჯვარი.

— არა, შენი ჭირიმე. ჩაცინებით უპასუხა ოსმა და გაბრუნდა.

— დაიცადე... მაშ რა გინდა? შეაყენა? ნაჩალნიკმა.

— აკი მოგახსენე.

— სულ ალარას დაუკლებ? ევაჭრებოდა ის.

— შენ კარგი კაცი ხარ, პოლკოვნიკი, განთქმული... შენი გულისთვის კაცის თავს ათ-ათს თუმანს ჩამოვალ.

— ოც-ოცი? მეტად ბევრია.

კარგა ხანს ივაჭრეს, კარგა ხანს ილაპარაკეს და ბოლოს მორიგდნენ:

*) იხ. „დროება", № 226.

რებულ ხალხის მდგომარეობა, და პირუტყვის ექიმები გაგზავნოს იმ მხარეში, რომ ამ ახალი ჭირისაგან მაინც გადაარჩინოს.

* * *

ხონიდამ იწერებიან, რომ აქაურს საზოგადოებას განზრახვა აქვს საქალებო სასწავლებლის გახსნისაო. ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთი საპატიო ქალის თაოსნობით, აქ არსებობდა პირველ-დაწყებითი საქალებო სასწავლებელიო, მაგრამ, უსაშუალობისა და ზოგიერთ სხვა მიზეზების გამო, მალე დაიკეტაო.

ესვე ბედი მოელის, ჩვენის კორესპონდენტის სიტყვით, მომავალ სკოლასაც, თუ თვითონ დაბამ არ ალმოუჩინა ამ სკოლას ისეთი სამუდამო წყარო და ღონის-ძიება, რომ კერძო პირებისა და ქველ-მოქმედ საზოგადოებისაგან არ იყვეს დამოკიდებული.

* * *

ბევრს ლაპარაკობდნენ ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქში იმის შესახებ, რომ ვითომც რუსეთის ზოგიერთ ფულიან ხალხისაგან შესდგა საზოგადოებაო, რომელმაც ორ მილიონ ნახევარი მან. მოაგროვა იმ განზრახვითო, რომ კავკასიის ღვინოებით ივაჭროსო. ზოგი რას ამბობდა ამ აქციონურ საზოგადოებაზე და ზოგი რას; ზოგი დაქცევას მოელის იმისაგან და ზოგი გაკეთებას.

[illegible], კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში იყო სწორედ ამ საგანზედ სჯა. ხსენებულ საზოგადოების წესდების შემდგენელმა ბ-ნმა მეცნერმა გააცნო კრებას თავის პროექტის მნიშვნელობა და აზრი. იმან დიდხან ილაპარაკა იმაზედ თუ რამდენი ფული ეხარჯება მუდამ წელიწადს რუსეთს სამზღვარ გარეთის ღვინოზე და თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთის ნაციონალურ სიმდიდრისათვის, კავკასიისა და ყირიმის ღვინოს რომ უფრო მომეტებული გასავალი მივცეთ შუაგულ რუსეთში და სამზღვარ გარეთაც, ვინემ დღეს აქვსო. კავკასიის ღვინოები ძალიან მოიწონეს ამ უკანასკნელ მოსკოვის გამოფენაზედაო; ამას, სხვათა შორის, ის გარემოება გვიმტკიცებსო, რომ თ. ივ. კ. მუხრანსკის და თ. ზაქ. ჯორჯაძეს, საუკეთესო ღვინოების დაყენებისათვის, ერთს სახელმწიფო გერბი მისცეს და მეორეს ოქროს მედალიო. თან-და-თან ვრცელდება ახლა ეს ღვინოები რუსეთში და სამზღვარ გარეთაც კი გაქვთო; თ. ბისმარკს ძალიან მოსწონს კახური ღვინოვო და სხვ. და სხვ. და ამიტომ ამ ღვინის წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთო.

ბ-ნი მეცნერის შემდეგ ბარონ ნიკოლაიმ ილაპარაკა, რომელიც იმ კრებას დაესწრო. ბარონმა სხვათა შორის სთქვა, მე წინააღმდეგი არა ვარ ამ გვარ აქციონურ საზოგადოების დაარსებისა ღვინის კეთებისა და ვაჭრობისათვისო, მაგრამ საშიშიაო, ამ სა-[illegible] საქართველოს ღვინის წარმოება და ვაჭრობა ხელში არ ჩაიგდოს, მონოპოლისტი არ გახდეს და ამით აქაურ მცხოვრებლებისათვის ერთი-ორად არ გაძვირდეს ღვინო.

ამ გვარივე აზრი წარმოსთქვეს ბ-ბმა პენჩისკიმ და თ. ბ. ანდრონიკოვმა.

თ. ზ. ჯორჯაძემ სთქვა ამ ჟამად რუსეთიდამ იმდენ ღვინოს იბარებენო, რომ ტფ. ვაჭრები ვერ აუდიან გაგზავნასაო.

მხოლოდ ერთმა თ. ჩოლაყაშვილმა გამოსთქვა აზრი, კარგი იქნებაო, რომ ამ გვარი კამპანია შესდგესო. ნახევარი ღვინო გვიფუჭდება ახლაო, რადგან მუშტარი არა გვყავსო. ამას გარდა კამპანია კიდევ იმ მხრითაც მოგვიტანს სარგებლობასაო, რომ რიგიანად ღვინის დაყენებასა და შემუშავებას გვასწავლისო.

ზოგიერთებმა სთქვეს, რომ საშიშიაო ხსენებულმა კამპანიამ ღვინის ვაჭრობასთან ერთად ჩვენი ვენახებიც და სავენახე ადგილებიც არ ჩაიგდონ ხელში და ამისგამო ურიგო არ იქნება, თავის წესდებაში შეიყვანონო ერთი მუხლი, რომ კამპანიას არა ჰქონდეს უფლება ადგილ-მამული შეიძინოს საქართველოში.

ბაასის გათავების შემდეგ კრებამ აირჩია კამისია, რომელსაც მიანდო, ერთის კვირის განმავლობაში, წარმოადგინოს თავის აზრი ამ საგნის შესახებ. კამისიაში წევრებად არჩეულნი არიან: თ. ზაქ. ჯორჯაძე, მონასტირსკი, თ. ანდრონიკოვი, თ. ჩოლაყაშვილი, თ. რაფ. ერისთავი და ზამბაროვი, თავს-მჯდომარედ ი. ს ხატისოვი.

* * *

თიანეთიდამ გვწერენ [illegible] სოფლო დეპოზედ:

„სწორედ ერთი წელიწადია, რაც სოფ. თიანეთში გაიხსნა საზოგადო დუქანი, რომლის დანიშნულება უნდა ყოფილიყო: გაიეფებინა გლეხობისთვის უსაჭიროესი საქონელი.

„მართლაც, თავ-და-პირველათვე საქმეც ამ გვარად წავიდა: დუქნის მწარმოებელმა კამიტეტმა ისეთი დაბალი ფასები დანიშნა, რომ ხალხი ბლომად მოაწყდა დუქანს და ის ცოტა საქონელი, რის მოტანაც შეიძლო საზოგადოებამ ერთ თვეში გასაღდა.

„ამ საქმეს სხვა გვარი ღირსებაც ჰქონდა: ეს უნდა ყოფილიყო საზოგადო საქმე და არა კერძო პირისა, ის უნდა განეგო ყველა ამხანაგობის წევრს, დაფარული და საიდუმლო არაფერი არ უნდა ყოფილიყო, წვრილმანობაშიაც კი გამგე კამიტეტს უნდა მიეცა ვრცელი ანგარიში მთელი ამხანაგობისათვის. დუქნის წესდებაში ნაჩვენებია ის საშუალებანიც, რომლის მეოხებითაც ზემოხსენებულის ასრულებაც შეიძლება: წლიური და საგანგებო კრებები, ზედამხედველი კამიტეტის რევიზიები და სხვანი.

„დუქნის გახსნის აქეთ, როგორც ვთქვით, გავიდა ერთი წელიწადი. და აი რას დაემზგავსა ეს საზოგადო საქმე: გლეხობა არავითარ ნდობას აღარ უღვიარებს საქმეს; ეხლა ისინი საზოგადო დუქანს კი აღარ ეძახიან, დალაქიშვილის დეპოაო. აღარც გამგე კამიტეტი, აღარც ზედამხედველი... მთელს საქმეს განაგებენ სიძე-სიმამრი

თხუთმეტი თუმანი კაცის თავს და იუნკრობა უნდა მიეცათ ოსისთვის სამთხრობლო.

— მაშ როდის? ჰკითხა ნაჩალნიკმა.

— ამ ორს დღეს დამაცადე და შეგატყობინებ.

ამ სიტყვებით ოსი გამობრუნდა და ნაჩალნიკი გახარებული შინ შევიდა, სადაც ხევის უჩასრკის დიანბეგი ელოდა, რომელიც ჩამოსულიყო იმასთან სხვა რაღაცა საქმეებზედ. რასაკვირველია ამ ხევის ბატონს ბირგოლაც თან ახლდა და სწორეთ იმ დროს, როდესაც ვლადიკავკაზის ნაჩალნიკს ეგონა, რომ ის მარტოკა ელაპარაკება ოსს, ბირგოლას ყური მიედო კარებისთვის და თრთოლვით მოისმენდა ოსის საუბარს. იმან გაიგონა იაგოს სახელი, იმან შეიტყო, რომ იაგოს ხვალ ზეგ დაიჭერდნენ, ან მოჰკლამდნენ და იქამდინ აღელდა, იქამდინ გაეხარდა, რომ აღარ იცოდა რაექნა. ვერც ხანმა, ვერც დრომ გადაავიწყეს იმას მტრობა და სიძულვილი!.. ეხლა, როგორც პირველ დღეს, იქნება იმაზედ მეტადაც მოუნდა იაგოს გადახდა, რომელსაც თავის უბედურებას და ნუნუს დაკარგვას აბრალებდა. მაგრამ ოსმა, რომ მოატყუოს? ზადაიფიქროს? იფიქრა ბირგოლამ და თმა აებურძგნა: „მაშ თავს აღარ დავანებებ იმას! სიკვდილამდინ ჩავყვები და თუ იმან გადათქვა თავის სიტყვა, მე ვიპოვნი“! ზაიფიქრა ეს, გავარდა და გამოუდგა ოსს, რომელსაც ჩქარა მოეწია.

ოსი მიდიოდა გახარებული თავისის საქმით და ვერ ამცნევდა ბირგოლას, რომელიც მიზდევდა და თავიდგან ფეხებამდინ ათვალიერებდა. ოსი მივიდა თავიანთ ბინაზედ, ბირგოლაც მიჰყვა იქამდინ და შებრუნდა ამ სასტუმროს დუქანში.

იმან მოითხოვა ჩარექა ღვინო, ეშმაკურის ლაპარაკით გამოჰკითხა დახლიდარს იქ იდგა ოსი, თუ არა? მარტო იყო თუ ამხანაგები ჰყვანდა და რა ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო, მაშინვე გადაწყვიტა, რომ იაგოც და იმის ამხანაგებიც იქ უნდა ყოფილიყო.

იმან იქირავა იქვე ოთახი და რა შევიდა სიამოვნებით გაიგონა, რომ ოსი და იმის ამხანაგები იმის მეზობლად ხმაურობდნენ. და თხელი ფიცრულის-კი, რომელიც იმათ აშორებდა, ნებას აძლევს ყოველი სიტყვა და მოძრაობა გაეგონა.

ის მაშინვე გამოვიდა, იპოვნა დიანბეგი, შეატყობინა თავისი დაგვიანების მიზეზი და გაგზავნა გუბერნატორთან, რომელსაც იმათ დასაჭერად განკარგულება უნდა მოეხდინა, თითონ-კი ისევ თავის სადგურში წავიდა სადაც უნდა ეთვალთვალებინა აბრაგებისთვის, რათა არსად გაჰპარვოდნენ.

ის შევიდა თავის ოთახში სწორეთ იმ დროს, როდესაც აბრაგები ბაზარში გასულიყვნენ და მოუსვენრად ელოდა სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ. რადგანაც იმათი მოსვლა გვიან მოხდა და რაღაცა მღელვარება და შესვლა გასვლა შეამცნივა აბრაგებს, მიზეზის შესატყობად დარჩა. ამ მოლოდინში გაიარა საათმა, ორმა და იქამდინ დაუგვიანდა, რომ ჯერ ალაყაფის კარები დაკეტეს, მერე თითონ დუქანიც და გამოსასვლელი გზა აღარა ჰქონდა.

იმან გაიგო, რომ ერთი ამხანაგი დაუკარგავსთ, და გულის ხეთქით ელოდა, რომ გაეგო: დაკარგული იაგო ხომ არ იქნებოდა. მერე აშკარად გაიგონა, რომ კობას სახელს ახსენებდნენ და მაშასადამე დაკარგული იაგო არ უნდაყოფილიყო.

ამ გვარად იმან გაატარა ღამე და დიანბეგს ვეღარა შეატყობინარა. მთელს ღამეს არ დაუძინია აბრაგებს, რადგანაც კობას დაკარგვა აწუხებდა იმათ; არ დაუძინია ბირგოლასაც, რომელსაც ეშინოდა, რომ იმათ ლაპარაკიდგან სიტყვა არ გამოჰპარვოდა... გათენებაზედ იმას შემოესმა რაღაცა სიხარული იმ ოთახიდგან სადაც აბრაგები იდგნენ და აშკარად გაიგონა ნუნუს და მლახას სახელი. ის გიჟსავით წამოვარდა ტახტიდგან, რომელზედაც ის იყო მიწვა და მთლად სმენად გადაქცეული კედელს მიადო ყური; ბირგოლას ყურებისა არა სჯეროდა, რადგანაც ნუნუს დიდი ხანია რაც თერგში ქვებს შუა ჩალამულს სთვლიდა და ერთბაშად ესმოდა, რომ ის არამც თუ მკვდარი, სრულიად უვნებელია, თავის მამასთან არის და დღეს საღამოზედ იაგოსაც-კი შეუერთდებოდა.

— მაშ ის ცოცხალია, ის იაგოს შეუერთდება და დაიწყებენ ბედნიერს ცხოვრებას?... ბირგოლა კი დაწუნებული, დამცირებული, ჯავრით დალეული ისე უნდა დარჩეს!?

ამ კაცში გაიღვიძა პირუტყულმა გადახდევინების წადილმა და იმ დროს ნუნუ რომ იქ მდგარიყო, ის შეუბრალებლად გაუპობდა გულს, დაეწაფებოდა იმის სისხლს და სიამოვნებით დალევდა. ის მხოლოდ იმაზედ შესწუხდებოდა, რომ ეს სისხლი მეტად ჩქარა შესწყდა და საკმაოდ ვერ დააკმაყოფილა თავისი გამხეცებული წადილი.

კობა, რომელსაც დაწვრილებით ჰკითხავდნენ ნუნუს ამბავს, უამბობდა ყველაფერს. ბოლოს გადავიდა იმათ სადგურის აღწერაზედ და ისეთის დაწვრილებით ანიშნა, რომ ბირგოლას როგორც ხელის გულზედ ისე დაეხატა იმათი სახლი. იმან იკბინა თითზედ და წამოიძახა:

— დამაცადეთ, დამაცადეთ და ნახავთ რას გიზამთ!.. მაშ ბირგოლა მოკვდეს, თუ თქვენ გაბედნიერდებით.

ის საჩქაროდ გამოვიდა თავის ოთახიდგან, გაქანდა დიანბეგთან, რომელიც მილიცის სოტნით, გუშინიდგანვე მზათ იყო და შეატყობინა როგორც აბრაგების სადგური, ისე თავისი აზრი, თუ როგორ დაეჭირათ ან დაეხოცათ მთიელნი.

— მაშ შენ აგრე არჩევ?

— დიაღ შენი ჭირიმე... სახლს ცეცხლი უნდა წაუკიდოთ, რომ გამოცვივდნენ, თორემ სახლში ისინი არ დაგვნებდებიან და თუ ღამემ მოგვასწრო, კიდევ ხელიდგან წაგვივლენ, შენი რისხვა არა მაქვს!

დიანბეგმა შეატყობინა ვლადიკავკაზის ნაჩალნიკს, მოიყვანეს კიდევ

და მათი მომხრე სომეხი დახლიდარი, რომელიც ჰყიდულობს და ჰყიდის როგორც უნდა და რასაც უნდა. ორიოდე საზოგადოების წევრნი, რომელნიც არ თანაუგრძნობდნენ ამ პირთაგან საქმის ჩაბღუჭვას, იძულებულ იყვნენ თავი დაენებებინათ დუქნისთვის; და ვინც კი ძალა-მოსილია ეს საქმე კარგა წაეყვანა, ისე გულგრილად ეკიდება მას, რომ კაცი ვერ იტყვის. რო დუქანი ეხლა აღარ ასრულებს თავის დანიშნულებას ცხადია შემდეგი ფაქტისაგან:

„ერთი უსაჭიროესი გლეხისათვის საქონელი გახლავს მარილი, რომელიც ფუთი ახლა ქალაქში ოთხ აბაზათ შეიძლება იყიდოს კაცმა, და ზემოხსენებულ დუქანში ისე ძვირათ არის, რო ბევრი გლეხი იქ არ ჰყიდულობს და განგებ აქ ჩამოდის იმის საყიდნად.

„მეორე ფაქტი: თ. ნ. ჭავჭავაძის დუქნიდგან ამოიტანეს ხილეულობა იმ პირობით, რომ გირვანქა ერთ შაურათ გაეყიდნათ და შემოსული ფულიდგან დუქანს 10% (ათის თავი) უნდა აელო. პრიკასჩიკმა არა თუ მარტო დაწესებული აიღო, არამედ გირვანქიდგანაც ორ კაპეიკი სხვაც ჰქონდა. მგრეთვე ქალაქიდგან ამოტანილ საქონელშიაც. არავის ატყობინებს*), როგორ ყიდულობს.

„ერთი სიტყვით, ამ საქმეში ყოველი საზოგადო ინტერესი ჩაიფუშა და დაუთმო ალაგი ბ. ღლაქიშვილის და კამპ. ინერესს“.

*) რახაკვირველია სიძე-სიმარის გარდა.

* *
*

„ივერიის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ოქტომბრის წიგნი ჟურნალის „ივერიისა“, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, დაიგვიანებს.

ტაქსის

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ნოემბრიდამ 15 ნოემბრამდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის** | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | 1 გირ. | 4 კ. |
| მესამის | „ | 1 გირ. | — |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | 1 გირ. | 4½ |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ „ | 1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | 1 გირ. | 4½ |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | 1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | 1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 8 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველი ხარისხის | — | 1 გირ. | 10 კ. |
| მეორის | „ | 1 გირ. | 9 კ. |

## წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის მე—210 №-ში იყო დაბეჭდილი მცირედი შენიშვნა ჩვენი გამსესხებელი კასსის შესახებ, რომელიც გვაიძულებს გიძღვნათ ორიოდე სტრიქონი თავის გასამართლებლათ. ბატონი კორრესპონდენტი ბრძანებს, რომ, „თუმნის სღირელს ნივთს გირაოში ორ-სამ მანეთს აძლევენ.“ ამ დანაშაულობაში თავის გამართლება თქვენც მიხვდებით, რომ ადვილია: ყველას თავის, ნივთი მეტ ფასად მიაჩნია და ჩვენ კი იძულებულნი ვართ დავაფასოთ ის ნამდვილ ფასათ, ესე იგი იმ ფასათ, როგორც მისი გასყიდვა მოსალოდნელია. ეს ყველგან ასეა და ჩვენც რომ სხვა ფრივ მოვქცეულიყავით, ამდენს ხანს რიყეზედ დავრჩებოდით, რადგანაც ბევრი ნივთის პატრონი არ გამოისყიდდა მეტ ფასად დაგირავებულს ნივთს; ამ გვარი მოქმედება არ შეადგენს იშვიათ მოვლენას.

რაც შეეხება თქვენი კორესპონდენტის რწმუნებას, რომ ვითომც ჩვენი კასსა თვეში სარგებლათ ორ შაურს ახდევინებდეს მანეთში, ეს წმინდა ცილის-წამებაა. ვისაც უნდა მობრძანდეს თვით კასსაში, გადაათვალიეროს გირაოს წიგნები და იქიდამ ნათლად დაინახავს, რომ ჩვენი სარგებელი ოც-და-ათ მანეთამდის სესხზედ არის დანიშნული სამი კოპეიკი და ოც-და-ათ მანეთ ზევით ორ კოპეიკ ნახევარი თვეში.

სხვაგან, როგორც მაგალითად, სატახტო ქალაქებზედ, ამ გვარივე კასსები იღებენ სარგებლად 8%-ზე მეტს თვეში და მაშასადამე ქალაქის [illegible] ფერი დასაზრახი აქვს ჩვენ კასსაში. [illegible] ლის ფერი აქ მოხსენებული შეუძლია ყველას და ყოველთვის შეამოწმოს თვით კასსაში, რაც ჩვენთვის დიდათ სასიამოვნო დარჩება.

გრიგორ ბარამოვი.

28 ოკტომბერს,
ქუთაისს.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ო რ შ ა ბ ა თ ს. გარაღევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან

---

მთელი როტა, მიიღეს ზირგოლას რჩევა მხედველობაში და საჩქაროდ ეს ხალხი აბრაგების სადგურს გარს შემოარტყეს.

რა წამ აბრაგებმა დაინახეს თავიანთი თავი ამ მდგომარეობაში, ისინი წამოცვივდნენ კარებს მიაყარეს, რაც კი ოთახში შეხვდათ, გაიძვრეს თოფები და ფანჯარასთან დადგნენ. იმათ იცოდნენ, რომ აქედგან ცოცხლები ველარ გაეიდოდნენ და რო უბედურობა სწევოდათ, სახელიანად უნდოდათ სიკვდილი.

იმათი პირველი აზრი იყო, რომ ვიღამაც გასცა და ყველამ ოსს შეხედეს, რომელიც გაფითრდა ამ შემთხვევაზედ.

— ღმერთმანი, მე არა მითქვამს-რა! წამოიძახა იმან.

— სტყუი ძაღლო! დასჭყივლა იაგომ, და დაჰკრა გულზედ ხანჯალი.

— ვაიმე, რათა მკლავ?... ღმერთმანი მე არა, მე არა! დაიძახა იმან და ერთბაშად გამოტრიალდა ფანჯრისკენ, რომელიც ღია იყო, იშვირა ფეხი და გადახტა, მაგრამ ძირს რამდენიმე ადგილს გახვრეტილი დაეცა. სალდათებმა რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ, რომ ესროლათ ვისაც კი იმ ოთახიდგან გამოსულს დაინახავდნენ, დახვრიტეს ისა. ოსი დაეცა, გაიბძოლა, წამოიწია კიდევ ერთი და დაიძახა:

— ამხანაგის მოღალატეს ასე მოუვა! მე დაგღუპეთ.... ჩემი ბრა.... ბარ.... მაგრამ სიტყვები ველარ გაათავა, რადგანაც ახალმა ტყვიამ თავში გაუარა და თან გატანილი ტვინი კედელს შეანარცხა.

ოსი გაუნძრევლად, ხმა ამოუღებლად დაეცა; იმან ამოსუნთქვაც კი ველარ მოასწრო, ისე დალია სული.

— აბრაგებო, გამოდით! დაუძახა ჯარის უფროსმა. გამოდით, თორემ თქვენც ეს დღე მოგელისთ, რაც თქვენს ამხანაგს.

პასუხის მაგივრად ხუთი თოფი ერთად გავარდა და ხუთი კაცი წაიქცა ჯარიდგან.

— ემანდა ჩვენი პასუხი.

ამ სროლაზედ, მოისმა გრიალი და ასამდინ ტყვიამ ფანჯარასთან მიიტანა ხრიალი, მაგრამ ოთახში მყოფებს ვერა დააკლეს-რა, რადგანაც კედლებმა დაიფარა.

აბრაგებმა მოასწრეს კიდევ თოფების გატენა და კიდევ ხუთი კაცი წააქციეს. გაიმართა სროლა და აბრაგებმა დაუწყეს უწყალოდ ქლეტა იქ მყოფს სალდათებს და ყაზახებს, მაშინ როდესაც, კედლების წყალობით, თითონ უვნებლად რჩებოდნენ.

მარტო ელბერდს მოხვედროდა მკერდში ტყვია, მაგრამ იმან საჩქაროდ გაიხია ახალუხი გამოგლიჯა ბანბა და მაგრად დაიცვა ჭრილობაში. ამის შემდეგ ის ისე იბრძოდა, როგორც უვნებელი.

— ბატონო, ხალხს რად ახოცინებთ, ცეცხლი მოუკიდოთ თორემ მაგათ ჩვენ ვერ დავიმორჩილებთ. მოახსენა ზირგოლამ დიანბეგს.

დიანბეგმა მოახსენა ნაჩალნიკს და გადაწყვიტეს, რომ თივა მოეტანათ.

რადგანაც ეს ადგილი ბაზართან ახლო იყო, გაგზავნეს რამდენიმე ყაზახი და იქიდგან მოატანინეს თივა და გარს შემოუწყეს სახლს. როდესაც ეს მუშაობა გაათავეს აბრაგებს კიდევ დაუძახეს:

— რაც გინდა გაძალიანდეთ, რაც გინდა ქნათ, ბოლოს მაინც ხელში უნდა ჩაგვიცვივდეთ... გამოდით, იარაღი დაყარეთ, თორემ სახლს ცეცხლს წაუკიდებთ!

— თქვენ დედაკაცებს, ბალღებს, მოხუცებულებსაც არ იბრალებთ და სწვავთ—ჩვენ რომ დაგვწვათ რა საკვირველი იქნება?! შპასუხეს იმათ.

— მაშ არ გამოხვალთ?

— არა.

— დაგწვავთ!

— დაწვა გვირჩევნიან თქვენს ხელში ჩავარდნას.

— წაუკიდეთ ცეცხლი! მოისმა ბძანება და ჯერ ავარდა კვამლი, მერე ოთხგან-ხუთგან გამოჩნდა ცეცხლი და ერთბაშად აბრიალდა ხმელი თივა.

— ო, ძაღლებო, ძაღლებო! სხვა რაი ვაჟკაცობა გაქვსთ? კბილების ღრჭიალით დაიძახა იაგომ.

— იაგო! კარგად მოიხედე, მე ვარ... მე გადაგიხადე, დაუძახა ზირგოლამ.

იაგომ გამოიხედა და დაინახა ზირგოლა, რომელიც ცარიელს ბოჩკას მოჰფარებოდა და იქიდგან ელაპარაკებოდა.

იაგომ სწრაფად გადმოიტრიალა თოფი, დაუმიზნა, მაგრამ ზირგოლამ მოასწრო ბოჩკის უკან ჩამალვა. ტყვიამ ქუდილა გადააგდებინა.

— შენი იღბალია და რაი გიყო! დასძახა იაგომ.

ამ ხანში სახლსაც გაედო ცეცხლი, რომელსაც გუგუნი გაჰქონდა და წუთიდ-წუთს ჩამოქცევას აპირებდა.

— ძმანო! ნუ დავიმარხებით ცეცხლში, ვაჟკაცნი ვაჟკაცად გავწყდეთ! დაიყვირა იაგომ, ჩამოიფხატა თვალებზედ ქუდი და გადაეშვა ფანჯრიდგან.

— გავწყდეთ! მისცეს ხმა დანარჩენებმა და გადაჰყვნენ თან.

იმათ, ხმალ მოწვდილთ, ისეთის სისწრაფით შეუტიეს ერთ მხარეს, რომ მთელი ჯარი გააპეს და ის იყო უნდა გასულიყვნენ მეორე ნაპირს, როდესაც გონს მოსული სალდათები, ისევ შემოეხვივნენ. მარდათ და მამაცათ ხლმის მქნეველნი, იარაღის მხმარებელნი, დატრიალდნენ ამ ჯარში და ვაი იმის დღეს, ვისაც იმითი მოქნეული მისწვდებოდა! ის თავ შუაზედ გაჩეხილი, ან მხარ იღლივ გადასხვეპილი, იქვე სულსა ლევდა. ადგა კორიანტელი, ყვირილი, ტირილი, კვნესა, ძახილი და რკინების ერთმანერთის მოხვედრის ხმა!..

ერთბაშად ხალხი შეჯგუფდა ერთს ადგილს, თითქოს ბურთსავით შეიკრა, ყველანი გაჩუმდნენ და მარტო რაღაცა გამოურკვეველი გრიალის ხმა მოისმოდა. რამდენიმე წუთი, ხალხი გაიშალა და იქ მყოფების თვალს წარმოუდგა, სხვა დახოცილებთ შორის, იაგო თავის სამი ამხანაგით, რომელნიც გულ-ალმა ეყარნენ და შესაზარს სურათს წარმოადგენდნენ. არა სჩანდა მათ შორის მარტო პობა, რომელიც ამ არეულობაში, რაღაცა მანქანებით გასხლტომოდა, გადამჯდარიყო პირველ ცხენზედ და სუბუქად დაჭრილი, შეჰფარებოდა ზუთხუზის ტყეს.

ა. მოჩხუბარიძე.

(დასასრული შემდეგში)

ავათმყოფობისა; კლდიში — სიფილის-ტიკური და ხირურგიული ავათმყოფობი-სა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კლდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კლდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა..

# განცხადებანი

**ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური რჩევა** ამით აცხადებს, რომ, თანახმად ჟურნალისა 6-ს ოკტომბრის 1882 წლისა, გიმნაზიის პანსიონში გახსნილ ვაკანსიებზე მოიწოდებიან:

ლუკა ჩარკვიანი, კოლეჟსკი სეკრეტრის სიმონ ჩარკვიანის შვილი, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (გიმნაზიის მესამე კლასში სწავლობს)

გრიგოლ ბარათაშვილი, აზნაურის სახინო ბარათაშვილის შვილი შორაპნის უეზდის სოფელ ნიგოზეთიდამ (გიმნაზიის მეექვსე კლასში სწავლობს)

გიორგი წერეთელი, აზნაურის მიხეილ წერეთლის შვილი, საჩხერო უეზდისა სოფელ ჯვარისიდამ. გიმნაზიისთვის არ შეუტყობინებიათ სად სწავლულობს (უნდა შემოვიდეს პირველ კლასში)

ილარიონ ხოფერია აზნაურის გაბრიელ ხოფერიის შვილი, სენაკის უეზდის სოფელ შხეფიდან (გიმნაზიის მეექვსე კლასში სწავლობს)

ამასთანავე რჩევა საჭიროდ ჰრაცხს გამოაცხადოს, რომ თანახმად სიისა უასლობელეს კანდიდატებად რომელთაც წლოვანებით უფლება აქვთ მიღებულ იყვნენ და რომელნიც მახლობელ მომავალში დაბარებულნი იქნებიან:

ჩხეიძე ვარლაამი, აზნაურის გრიგოლ ჩხეიძის შვილი ქუთაისის უეზდის სოფელ ბზვანიდამ, (გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში სწავლობს)

ვლადიმირ გუნცაძე, აზნაურის ალექსანდრე გუნცაძის შვილი შორაპნის უეზდისა. სოფელ კვალითიდამ (გიმნაზიის მესამე კლასში სწავლობს)

ნიკოლოზ გუნცაძე, აზნაურის ბესარიონ გუნცაძის შვილი შორაპნის უეზდის სოფელ კვალითიდამ (გიმნაზიის მეორე კლასში სწავლობს)

ნიკოლოზ იოსელიანი, აზნაურის კოსტანტინე იოსელიანის შვილი, ქუთაისის უეზდის სოფელ წყალტუბიდამ.

სამსონ ნანეიშვილი, აზნაურის თომა ნანეიშვილის შვილი სენაკის უეზდის სოფელ საჭილაოდან,

ივანე ამირეჯიბი, აზნაურის ხოსთა ამირეჯიბის შვილი, რაჭის უეზდის სოფელ შარდომეთიდან. (3—1)

---

„**წერა-კითხვის საზოგადოება**“ სთხოვს წევრთ, რომ ხვედრი საწევრო ფული გამოგზავნონ „საზოგადოების“ ახალის ხაზინადარის ბ. გიორგი დავითის-ძის ქართველოვის სახელობაზედ, შემდეგის ადრესით: **въ Тифлисъ. Казначею общества Георгію Давидовичу Картвелову. Михаиловск. улица, собст. домъ.** (3—1)

---

20 გიორგობისთვეს, შაბათს, დანიშნულია

## კრება,

რომელზედაც უნდა შემუშავდეს და გამოიკვლიოს ქართული ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. მსურველთ ამ კრებაზე დასწრებისა სთხოვენ დანიშნულ დღისათვის შეჰკრიბონ, როგორც მზა ქართული ტერმინები, აგრეთვე გამოკვლევა — ხელები, რომელნიც გარჩეულ იქმნებიან კრებაზე

უმორჩილესად სთხოვენ აგრეთვე ქალაქს გარეშე მცხოვრებთა, რომელთაც კი შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება — თავის ცნობები გამოგზავნონ ამ ადრესით: **Тифлисъ, городское Ремесленное Училище, преподавателю А. Гуладзе,** ანუ **І. Мревлишвили.**

ადგილი თავის დროზე იქნება გამოცხადებული. (10—2)

---

„**გამასესხებელი კასსა გ. ი. ბარამოვისა და კამპ.**“

**ქ. ქუთაისში.**

აცხადებს, რომ 5-ს და 12-ს ნოემბერს ამა წლისა დილის ათ საათიდგან, ამა კასსის წინ გაისყიდება აუქციონით ის გირაოები, რომელიც არ არის დახსნილი შემდეგ ორის ლგოტისათვის, ე. ი. ოქროსი, ვერცხლისა და სხვა ნივთები. (5—3).

---

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| შეაბდრეთ ნვენი ნაი | —1 მ. 10 კ. | მოსკოვის ნაის | —1 მ. 40 კ. |
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— ,, |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— ,, | — | —3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალესები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ურაგირები, კლეიონკა, წინდები — კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კლეინკური — სულ ყველაფერი 25, დამ 5ი პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—6)

---

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესას ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

---

ახალი ქართული

## ქარაბადინი

იყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

---

საწერი

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდის მოთხზე თაბახზედ, შეიცავს ხუთს საჯარიშოს: მაგალითს: 1) ანბანის დიდებს მხედრულის ხელისას; 2, მაგალითს მხედრულის ხელით წიგნიდამ გადმოწერილისა; 3) ანბანის დიდებს გაბმულის ხელისას; 4) დიდებს (იგივე მაგალითი) გაბმულის ხელით გადმოწერილისათვის; 5) უმთავრესს საჭირო მაგალითებს სიტყვის კითმანერთან გადაბმისას.

იყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

---

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

იყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ალაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

---

ინგლისის მაღაზიაში

## თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—8)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და იყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; იყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს — ათს შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Ноября 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი